მიწის ნასყიდობის ხელშეკრულება

_____ _____ 2022 **ქ. თბილისი**

შპს „_____“ (ს/ნ _____) (შემდეგში - **„გამყიდველი“**), წარმოდგენილი მისი დირექტორის - _____ _____ (პ/ნ _____) სახით, ერთის მხრივ, და შპს „_____“ (ს/ნ _____) (შემდეგში - **„მყიდველი“**), წარმოდგენილი მისი დირექტორის - _____ _____ (პ/ნ _____) სახით, მეორეს მხრივ, **„გამყიდველი“** და **„მყიდველი“** ერთად წოდებულნი როგორც - **„მხარეები**“, ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - **„ხელშეკრულება“**) შემდეგზე:

1. „ხელშეკრულების“ საგანი

1.1. **„გამყიდველმა“** გაყიდა, ხოლო **„მყიდველმა“** იყიდა **„გამყიდველის“** საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი - _____კვ.მ. მიწის ნაკვეთი ქ. _____-ში (შემდეგში - **„ნასყიდობის საგანი“**). **„ნასყიდობის საგნის“** ტექნიკური მახასიათებლებია:

საკადასტრო კოდი: _____;

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: _____;

ნაკვეთის დანიშნულება: _____;

დაზუსტებული ფართობი: _____;

ნაკვეთის წინა ნომერი: _____;

მისამართი: _____.

1.2. **„ხელშეკრულებაზე“** ხელისმოწერით **„გამყიდველი“** საკუთრებაში გადასცემს, ხოლო **„მყიდველი“** საკუთრებაში იღებს **„ნასყიდობის საგანს**“;

1.3. **„ნასყიდობის საგნის“** ღირებულება შეადგენს _____ აშშ დოლარს, რომელიც **„მყიდველის“** მიერ **„გამყიდველისთვის“ „ხელშეკრულების“** გაფორმების მომენტისათვის გადახდილია სრულად (ექვივალენტ თანხა ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად). **„ხელშეკრულება“** წარმოადგენს **„მყიდველის“** მიერ **„გამყიდველისთვის“ „ნასყიდობის საგნის“**

ღირებულების სრულად გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს და მასზე ცალკე, დამოუკიდებელი დოკუმენტის გაფორმება აღარ განხორციელდება;

1.4. **„ნასყიდობის საგნის“** ხარისხი და მდგომარეობა შეთანხმებულია **„მხარეთა“** შორის:

1.4.1. **„ნასყიდობის საგანი“** ნივთობრივად უნაკლოა;

1.4.2. **„მყიდველმა“** შეამოწმა და მოიწონა **„ნასყიდობის საგნის“** მდგომარეობა და ხარისხი.

1.5. **„ხელშეკრულების“** ტექსტი სრულიად შეესაბამება და გამოხატავს **„მხარეთა“** ნებას, რასაც ვადასტურებთ **„ხელშეკრულებაზე“** ხელისმოწერით.

„გამყიდველი“: შპს „_____“ (ს/ნ _____)

_____ /_____ _____ (პ/ნ _____), დირექტორი/

„მყიდველი“: შპს „_____“ (ს/ნ _____)

_____ /_____ _____ (პ/ნ _____), დირექტორი/

_____ „გამყიდველი“ _____ „მყიდველი“